ბრძანება:**ბ10. 102234917**
თარიღი:**15/12/2022**

აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზება) მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ლ“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე, 120-ე მუხლების და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების, „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის #21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის #60 განკარგულების და „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის #22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის #61 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზება) მიზნით ჩატარდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას შემდეგი ქონება:

მუნიციპალიტეტი აბაშა, სოფ. სამიქაოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 44.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა #1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:#40.10.36.218); საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 3900.00 (სამიათასცხრაასი) ლარით. ბიჯის ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ის ოდენობით. უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 30%-ის ოდენობით; ელექტრონული აუქციონის პირობად იქნეს მიღებული, რომ გამარჯვებულმა პირმა აღნიშნული მიწის ნაკვეთი გამოიყენოს კომერციული საქმიანობისათვის.

2.ელექტრონული აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება; იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში

რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე-ს ოდენობა, ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე-ს ოდენობა ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;

3.ბრძანებაში მითითებული აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრებაში გადაცემა განახორციელოს აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავმა მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ;

4.მუნიციპალური ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე www.eauction.ge.

5.პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს: ვებგვერდზე www.eauction.ge აუქციონის გამოცხადების მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

6.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერის მოადგილეს გ. ჯვარელიას;

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. #247).

8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი